ილია ნოზაძე[1]

გერმანიის გაერთიანება: სოციო-ეკონომიკური შედეგი და ევროპული რეინტეგრაცია

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს გერმანიის გაერთიანების განმაპირობებელი საგარეო და საშინაო ფაქტორები. კვლევის ფარგლებში მოხდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა (შემდგომში GDR) და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკის (შემდგომში FRG) მაკროეკონომიკური აქტივობის შეფასება ისეთ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: ცხოვრებით კმაყოფილება, შრომის საზოგადოებრივი და გენდერული განაწილება და მიგრაცია. მომდევნო თავში განხილულია საბჭოთა სოციალისტური და დასავლური დემოკრატიული იდეოლოგიების გავლენები დაყოფილ გერმანიის მოსახლეობაზე, რაც საჭიროა აღნიშნული დაპირისპირებული მსოფლმხედველობების ხილული გამოვლინებების დადგენისა და ანალიზისათვის.

ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საგარეო იდეოლოგიურ გავლენას სახელმწიფოს შიგნით გააჩნია ფსიქოლოგიური და სოციალური განზომილებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროინტეგრაციის პროცესს, რამეთუ 1990-იანი წლების დასაწყისში გერმანიის გაერთიანებასთან ერთად სუპრანაციონალური ევროპული იდენტობის ფორმირება ქვეყნის საგარეო კურსის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მოიაზრებოდა. გაერთიანების მამოძრავებელი ფაქტორები განხილულია სამი დომინანტი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ჭრილში, ესენია: რეალიზმი, ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი. სტატიის აღნიშნულ ნაწილში ავტორი ცდილობს ახსნას თუ რატომ ამჯობინა გერმანიამ ევროინტეგრაცია აგრესიულ და საკუთარ ამბიციებზე ორიენტირებულ პოლიტიკას. საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური დებატების ანალიზის შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ გერმანიის საგარეო კურსი თანხვედრაში მოდიოდა მისი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილის შიგნით კონსოლიდირებულ ევროპული იდენტობის ნარატივთან. რიგ საპირისპირო შემთხვევებში საზოგადოების მხრიდან გამოხატული თანმდევი კრიტიკა და მაკორექტირებელი პასუხი დროულ გამანეიტრალებელ როლს ასრულებდა. გერმანიის გაერთიანების პროცესი თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება გეგმაზომიერმა და რაციონალურმა რეინტეგრაციამ გრძელვადიანი სარგებელი მოუტანოს მონაწილე მხარეებს.

საკვანძო სიტყვები: *გერმანიის გაყოფა, ბერლინის კედელი, გფრ, გდრ, ევროპული რეინტეგრაცია, გერმანიის გაერთიანება, გაერთიანების შედეგები.*

[1] ილია ნოზაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი/კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის სტიპენდიატი; ელ-ფოსტა: **ilianozadze1996@gmail.com**

შესავალი

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური კონსტიტუციის 23 მუხლის თანახმად 1990 წელს გერმანიის გაერთანება განსაზღვრულია, როგორც GDR-ის იგივე აღმოსავლეთ გერმანიის შესვლა FRG-ს იურისდიქციის სფეროში. სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში აღნიშნული მოვლენა აღიქმება, როგორც დასავლური ბლოკის მიერ მოპოვებული დამაგვირგვინებელი გამარჯვება ცივი ომის პერიოდში.

ლიტერატურის, სტატისტიკური მონაცემებისა და პოლიტიკოსთა გამოსვლების შინაარსის ანალიზზე დაყრდნობით სტატია მიზნად ისახავს ნათელი მოჰფინოს კულტურულ, იდეოლოგიურ თუ სოციო-ეკონომიკურ ზეგავლენას გაყოფილ გერმანიაზე, როგორც გაერთიანებამდე ასევე მის შემდგომ. ფუნდამენტური აუცილებლობაა იმ სტრატეგიების იდენტიფიცირება, რომლებსაც გარე ძალები ორად გაყოფილ გერმანიაზე ზეგავლენის მოსახდენად და კონტროლის შესანარჩუნებლად იყენებდნენ. გერმანიის გაერთიანება იდეოლოგიური ომის დამაგვირგვინებელი აკორდი აღმოჩნდა და მისი საფუძვლიანი შეფასება საჭიროებს არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ რეგიონალურ და გლობალურ ჭრილში განხილვას. გერმანიის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს ორ საბაზისო კითხვას: რა ხელშესახები სარგებლის მოტანა შეუძლია რეგიონალური რეინტეგრაციის პოლიტიკას და რა დამაბრკოლებელი ფაქტორები შეიძლება არსებობდეს ამ გზაზე?

გერმანიის დაყოფის ისტორიული კონტექსტი

გერმანიის გაყოფის სტრატეგია შემუშავებულ იქნა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე. გერმანიის ტერიტორიების გადანაწილების პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქვეყნის დემილიტარიზაციას, დეცენტრალიზაციას, მის ნაციზმისგან გათავისუფლებასა და დემოკრატიზაციას. ნაცისტური იდეოლოგიის ხელახალი აღზევების პერსპექტივით შეშფოთებულმა ანტი-ფაშისტური ძალების გაერთიანებამ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მეთაურობით გადაწყვიტეს მეორე მსოფლიო ომში თითქმის უდავო გამარჯვების მოპოვების შემდეგ გერმანიის ტერიტორია გადაენაწილებინათ. გეგმის თანახმად აღმოსავლეთ გერმანია საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცეოდა, ხოლო დასავლეთ ნაწილს მოკავშირეები საკუთარი კონტროლის სფეროებად გაინაწილებდნენ.

ოკუპაციის აღნიშნული მაგალითი თავისებურად უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენდა, რადგან თითოეულ ზესახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეეძლო ემართა მათთვის განსაზღვრული გავლენის სფეროები. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მალევე კაცობრიობა ცივი ომის ფაზაში შევიდა. ბერლინი ოთხ გავლენის ზონად დაიყო. საბჭოთა კავშირის მიერ წამოწყებულმა დასავლეთ ბერლინის ბლოკადამ მოკავშირეები აიძულა, საკუთარი კონტროლის არეალში მყოფ ტერიტორიებისთვის საყოფაცხოვრებო მარაგები ავიაციის გამოყენებით მიეწოდებინა. მალევე დასავლეთ გერმანიაში ვალუტის ერთეულად გერმანული მარკა გამოჩნდა. გერმანიის ტერიტორია ეკონომიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ველად იქცა.

1949 წელს გერმანიის ტერიტორიაზე ოფიციალურად შეიქმნა ორი სახელმწიფო: დასავლეთ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (FRG) და აღმოსავლეთ გერმანია - გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (GDR). შესაბამისად, ახლად აღმოცენებულმა სახელმწიფოებმა ნაწილობრივი სუვერენიტეტი მოიპოვეს და რჩებოდნენ გარე ძალების - ერთის მხრივ ევროატლანტიკური მოკავშირეებისა და მეორეს მხრივ ვარშავის პაქტის ქვეყნების აქტიური სუბორდინაციის ქვეშ. ორი გერმანიის სახით ერთმანეთს დაუპირისპირდა დასავლური ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელი და საბჭოთა კოლექტიურ-სოციალისტური დოქტრინა. ხელშეკრულება ოფიციალურად არ გაფორმებულა, თუმცა დასავლურმა ძალებმა, როგორც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა მხარემ მეტწილად საკუთარ თავზე აიღო გერმანიის სოციო-ეკონომიკური კურსის წარმართვა. აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც რეგიონალურმა და გლობალურმა ჰეგემონმა, თავის მხრივაც გამოიჩინა მსგავსი ამბიცია. (Heineck & Süssmuth 2010).

როგორც უკვე აღინიშნა, გავლენის სფეროების გადანაწილება შემთხვევითობა არ ყოფილა. 1943 წლის მოსკოვის კონფერენციაზე აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებას მიაღწიეს არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, გადაწყდა ევროპული საკონსულტაციო კომისიის შექმნა, რომლის მთავარ ამოცანასაც მეორე მსოფლიო ომის შედეგების გან-

ჭვრეტა და მოვლენათა შემდგომი განვითარების დაგეგმვა წარმოადგენდა (Lang 2017).

წინასწარ განსაზღვრული სცენარის შესაბამისად, გერმანია უნდა გაყოფილიყო ორ სახელმწიფოდ. საუბარია მიწებზე, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეკუთვნოდა გერმანიის იმპერიასა და პრუსიის სამეფოს. აღნიშნული დაყოფის სტრატეგია ემსახურებოდა ნაცისტური კავშირის საფრთხის გრძელვადიან და საიმედო განეიტრალებას. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ამ ტერიტორიებზე მცხოვრებმა ადამიანებმა მემკვიდრეობით მიიღეს გარკვეულწილად განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იდენტობა.

საკონსულტაციო კომისიამ წარმოადგინა საკუთარი რეკომენდაციები, რომელიც საფუძვლად დაედო ლონდონის 1944 წლის პროტოკოლის შემუშავებას. პროტოკოლის თანახმად გერმანია დაიშალა თანაბარ ნაწილად და თითოეული ზონა თავდაპირველად გადანაწილდა აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. დოკუმენტში შეტანილი შესწორებების თანახმად დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის მიღწეული კომპრომისის საფუძველზე დასავლეთ გერმანიის გარკვეული ნაწილი საფრანგეთის კონტროლის სფეროდ განისაზღვრა. გარდა ამისა, პოლონეთი თავისმხრივ სსრკ-ს პატრონაჟით ასევე ჩაერთო აღმოსავლეთ გერმანიის მცირე ნაწილის მართვის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებები, 1949–1990 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა გავაანალიზოთ ორი დაპირისპირებული იდეოლოგიის სოციო-ეკონომიკური გავლენა გაყოფილი გერმანიის მაგალითზე.

ადვილი შესამჩნევია, რომ აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთ გერმანიას. გაერთიანებამდე პერიოდში FRG-ს მოქალაქეების ცხოვრების დონე საგრძნობლად უკეთესი იყო, ვიდრე მათი თანამემამულეების აღმოსავლეთ ნაწილში. სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება საკმარისზე მეტი მტკიცებულებაა იმის დასადასტურებლად, რომ საბჭოთა გავლენის ქვეშ ცხოვრებამ არა მხოლოდ სტრუქტურული და ბიუროკრატიული ცვლილებები გამოიწვია აღმოსავლეთ გერმანიაში, არამედ GDR-ს მოქალაქეების ქცევაზე გაერთიანების შემდეგაც კი იქონია საგრძნობი გავლენა.

GDR-ს და FRG-ს ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება

ორად გაყოფილი გერმანიის რესპუბლიკების ეკონომიკური რეინტეგრაცია სამაგალითო შემთხვევაა. GDR–მა მნიშვნელოვნად ისარგებლა გაერთიანების შედეგებით. კერძოდ, აღმოსავლეთ გერმანიამ შეძლო გაეზიარებინა უკეთ განვითარებული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკანონმდებლო, სოციო–ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების მყარი და თანამედროვე სტრუქტურების ნოვატორული გამოცდილება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ძვირფასი დროის დაზოგვის კუთხით, რამაც თავის მხრივ გამოათავისუფლა საჭირო ძალისხმევა და რესურსები წარმატებული პოსტ-საბჭოთა ტრანზიციისათვის. ლინგვისტური და სოციალური კავშირები ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა სწრაფი და ეფექტური რეინტეგრაციისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის გაერთიანების შემთხვევა სტიმული იყო რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის, რაც გულისხმობს, რომ იგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც არქეტიპული პრეცედენტი არა მხოლოდ მისი უშუალო მეზობლების, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოსტ-საბჭოთა ემანსიპაციისა და ეკონომიკური რეინტეგრაციისთვის. (Burda & Hunt 2001).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში გერმანიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიწების ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის სხვაობა მინიმალური იყო. თუმცა, გაერთიანების შემდგომ ეტაპზე გერმანიის აღმოსავლეთ მიწების მთლიან შიდა პროდუქტს (შემდგომში მშპ) ერთ სულ მოსახლეზე დასავლეთ გერმანიის იმავე მაჩვენებელს ორჯერ ჩამოუვარდებოდა. (Alesina & Fuchs-Schündeln 2007) (Shleifer et al. 2006).

აღმოსავლეთ გერმანია საგრძნობლად ჩამორჩა შრომის პროდუქტიულობის თვალსაზრისითაც, რაც დასავლეთ გერმანიის მაჩვენებლის დაახლოებით მესამედს შეადგენდა. აღნიშნულ მაჩვენებელზე დაყრდნობით GDR ჩილესა და მექსიკის მსგავს სახელმწიფოთა კატეგორიაში მოიაზრებოდა. სოციალისტური იდეოლოგიით მართულმა ეკონომიკურმა მოდელმა აღმოსავლეთ გერმანია ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანა, შესაბამისად, აღმოსავლეთის ფინანსური რესურსების უმეტესობა არ იყო შესაფერისი დასავლურ ეკონომიკურ მოდელში გამოყენებისთვის (Siebert & Horst 1991) (Akerlof et al. 1991).



ცხრილი 1. Sascha O. Becker,Lukas Margele, and Ludger Woessmann, 2020. "The Separation and Reunification of Germany: Rethinking a Natural Experiment Interpretation of the Enduring Effects of Communism". Journal of Economic Perspectives, 34-ე გამოცემა, გვერდები: 143-171.

ცხოვრებისეული კმაყოფილების ინდექსის ზეგავლენა რეალური ცხოვრებაში დიდი ხნის განმავლობაში იყო კლასიკური ფსიქოლოგიური სკოლის შესწავლის საგანი, თუმცა, თანდათანობით იქნა შეთვისებული სხვა დარგების მიერ. ეკონომისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მისი ეფექტი საგრძნობია არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ გავლენას ახდენს სახელმწიფოებრიობის უფრო ფართო ასპექტებზე, როგორიცაა ქვეყნის სამუშაო ძალის დაგროვებითი ეფექტურობა. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა გარკვეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება ცხოვრებით კმაყოფილებასა და პროდუქტიულობას შორის.

ზოგიერთი ავტორის აზრით, უმუშევრობა პირდაპირ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრებით კმაყოფილებაზე, მაშინ როდესაც შემოსავლის გავლენა მასზე ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. (Clark & Oswald, 1994).

გაერთიანებიდან პირველი პირველი ათწლეულის განმავლობაში, ორივე სქესის წარმომადგენლებში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღმოსავლეთ გერმანელების ცხოვრებით კმაყოფილებაში. ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ პროცესში მთავარი როლი ითამაშა: ინდივიდუალური მობილობის გაუმჯობესებამ, ახლად შეძენილმა უფლებებმა და შესაძლებლობებმა, გაუმჯობესებულმა და მოქალაქეებზე ორიენტირებულმა სოციალური მომსახურების სისტემამ (Frijters, Haisken-DeNew and Shields 2004).

შრომის გადანაწილება სქესის მიხედვით აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში

გერმანიის სახელმწიფოს გაყოფამ თავისი შედეგი გამოიღო ეკონომიკური ქცევის ცალკეულ ასპექტებზე, რაც განსაკუთრებით აშკარა იყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა შორის შრომის გადანაწილების კუთხით. სეპარაციის პერიოდის განმავლობაში, აღმოსავლეთ გერმანიაში მიმდინარეობდა მდედრობითი სქესის მოქალაქეების წახალისება, რათა გამხდარიყვნენ ქვეყნის ეკონომიკის ისეთივე აქტიური მონაწილეები, როგორც მათი მამრობითი სქესის თანამემამულეები. FRG-ში გენდერული როლების გადანაწილება საზოგადოებაში არსებული კონსერვატიული ღირებულებებით იყო განპირობებუ-

ლი. დასავლეთ გერმანიაში ძირითადად მამაკაცები ირგებდნენ დომინანტ როლს, ხოლო ქალებს ებარათ ტრადიციული საოჯახო საქმეები და ბავშვების აღზრდა. ამ პოლიტიკის შედეგად, GDR-ში მცხოვრებმა ქალებმა უფრო მეტი თანასწორობა მიიღეს დასაქმების კუთხით, ვიდრე ეს FRG-ს მოქალაქეებმა. კრომპტონი (1999) ამგვარად ახასიათებს დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის სოციო-ეკონომიკურ მოდელებს: კონსერვატიული FRG - მარჩენალი კაცი/მეოჯახე ქალი, ხოლო GDR ორმაგი მარჩენალი/ორმაგი მეოჯახე კონცეფცია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XX საუკუნის შუა ხანებამდე, პირველი მოდელი დომინირებდა ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში. ამასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე სამყაროში აღნიშნული სოციო-ეკონომიკური მოდელების სრულყოფილი ფორმის მოძიება სირთულეებთანაა დაკავშირებული იმის გამო, რომ საზოგადოებათა უმეტესობა წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი ორი მოდელის გარკვეულ ნაზავს (Crompton, 1999).

შესაძლებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სხვა სოციალისტურ სისტემებთან შედარებით GDR-მა მიაღწია გენდერული თანასწორობის უმაღლეს დონეს შრომითი მარაგის გადანაწილების კუთხით. ამასთან, FRG-ში ქალი მოქალაქეები ძირითადად ნახევარ განაკვეთზე მუშაობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ GDR-ს მუშა ქალთა უმრავლესობა სახელმწიფოში სამსახურებში იყო დასაქმებული, ხოლო დასავლეთში საკმაოდ აქტიურ კერძო სექტორში ხელფასები განისაზღვრებოდა საბაზრო კონკურენციის საფუძველზე (Krueger & Pischke 1995).

სეპარაციის პერიოდში ორ ქვეყანას ფუნდამენტურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა გენდერული როლების გადანაწილების შესახებ. ამასთან, "ორი გერმანიის" შერწყმის შემდეგ, GDR ფაქტობრივად დაიქვემდებარა FRG-ს ხელმძღვანელობამ, რის შედეგადაც გაჩნდა GDR-ს პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტრუქტურების რადიკალური რეფორმაციის საჭიროება.

ლოგიკურია ვიკითხოთ: რატომ ანიჭებენ უპირატესობას ინდივიდები ან ადამიანთა დიდი ჯგუფები სქესთა შორის შრომის დაყოფის გარკვეული სტრატეგიას? უფრო ზუსტად, რატომ ამჯობინებენ ბრიტანელები და ფინელები ოჯახის ორმაგი მარჩენლის კონცეფციას, ხოლო იტალიელები გენდერული როლების უფრო კონსერვატიულ და ტრადიციულ დაყოფას? ჩვენი დაკვირვების კონტექსტში, უკეთესი იქნება ამ საკითხის ასე ჩამოყალიბება: რა განაპირობებდა გერმანიის სეპარაციის პერიოდში შრომის დაყოფის რადიკალურად განსხვავებულ სტრატეგიების არსებობას და რა გახდა აღნიშნული სტრატეგიების ნაწილობრივი შერწყმის მიზეზი გაერთიანების შემდეგ?

ამისთვის შეიძლება რამდენიმე ახსნა მოიძებნოს. უპირველეს ყოვლისა, არაერთი მკვლევარი სამართლიანად ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკას აქვს უდავო გავლენა ზოგადად გენდერულ საკითხებზე. ამასთან, ზოგი ავტორი მიანიშნებს სახელმწიფოში არსებული ეკონომიკურ სტრუქტურის როლზე, როგორც შიდა დარგობრივი, ასევე, საერთაშორისო ბაზართან მის მიმართებაზე. სხვები კულტურული კოდექსების ანალიზზე დაყრდნობით ცდილობენ პასუხების მოძიებას, რაც, მათი აზრით, წარმოადგენს ფუნდამენტური სოციალური ნორმებსა და ჯგუფური იდენტობის შექმნის მთავარ წყაროს. დაბოლოს, ზოგიერთი მკვლევარი გადამწყვეტად ფაქტორად წარსულის გამოცდილებას მიიჩნევს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიული მემკვიდრეობა მთავარ როლს თამაშობს საზოგადოების სოციალური სტატეგიების ჩამოყალიბებაში (Rosenfeld, Trappe , and Gornick 2004).

მიგრაცია აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის

შრომითი კმაყოფილებისა და ხელფასის გარდა, მიგრაციის დინამიკაზე ფსიქოლოგიური და სოციალური გავლენაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 1989 წლამდე აღმოსავლეთიდან დასავლეთ გერმანიაში გადამსვლელ მიგრანტთა დიდ ნაწილს GDR-ში მცხოვრები ქალები შეადგენდნენ. თანდათანობით, აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის უფრო და უფრო ახალგაზრდა და გამოცდილი ნაწილი იწყებდა დასავლეთისკენ გადაადგილებას. ახალგაზრდა და განათლებული GDR-ის მოქალაქეები უფრო აქტიურად იღებდნენ FRG-ს მუდმივ მოქალაქის სტატუსს, ვიდრე ხანდაზმული და დაოჯახებული მოსახლეობა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ახლაგაზრდებს ქონდათ არჩევანის თავისუფლება, რადგან არ განიცდინენ მიჯაჭვულობას საცხოვრებელი ადგილის მიმართ, ხოლო ხანდაზმულებს ჰქონდათ ოჯახი, ამიტომ მათთვის უფრო რთული იყო ერთდროულად ყველაფრის მიტოვება და დასავლეთ გერმანიაში გადასვლა. საბოლოოდ, მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა რომ, მუდმივი მიგრანტები ცხოვრების უფრო მაღალი კმაყოფილებით ხასიათდებოდნენ , ვიდრე

ის მოქალაქეები, რომელთაც დროებით უწევდათ GDR-ს დატოვება (Fuchs-Schündeln & Schündeln 2009) (Hunt 2002).



ცხრილი 2 Own calculation based on administrative data from the German Statistical Office

პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეგავლენა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა გავლენამ ღრმად გაიდგა ფესვები GDR-ს მოქალაქეთა ყოველდღიურობაში და ბევრად გასცდა ეკონომიკურ თუ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს. როგორც ჩანს, სოციალისტურ იდეოლოგიას ბევრად უფრო გრძელვადიანი ეფექტი ჰქონდა GDR-ის მოქალაქეთა ეკონომიკურ ქცევაზე გაერთიანებიდან ათწლეულების შემდეგაც კი. კომუნისტური გავლენა გავრცელდა ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა მეწარმეობა, საფონდო ბირჟაზე საქმიანობა, დანაზოგები და ინფლაცია. ამგვარი შედეგის ახსნა ადვილი საქმე არ არის, თუმცა, მეტნაკლებად უშუალოდ კომუნისტური იდეოლოგიის შედეგების დაკვირვება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

საბჭოთა ეკონომიკური მოდელის იდეოლოგები ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ინვესტიცია და საფონდო ბირჟა, მიიჩნევდნენ დასავლეთის მიერ თავსმოხვეული გახრწნილი და კორუმპირებული კაპიტალიზმის შემადგენელ ნაწილებად. საბჭოთა კავშირის იდეოლოგები ახორციელებდნენ კოლექტიური ეკონომიკური მოდელის სისტემატიურ პროპაგანდას და ყველაფერს დასავლურს ეთიკური საფუძვლებისგან დაცლილად მოიხსენიებდნენ. შედეგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ გრძელვადიანი აღმოჩნდა. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ 2000-იან წლებშიც კი ყოფილი GDR-ს ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელები კაპიტალის მნიშვნელოვნად ნაკლებ ნაწილს აბანდებდნენ აქციებში (Laudenbach et al. 2020). ამასთან, შეიმჩნევა აშკარა დარღვევები ყოფილი GDR-ის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის ქცევაში. აღნიშნულ სეგმენტში შედიან აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები ის პირები, რომლებმაც სხვა მოქალაქეებთან შედარებით საბჭოთა ინსტიტუციებისგან უფრო მეტი ჩაგვრა და დისკრიმინაცია განიცადეს მათი რელიგიური იდენტობის გამო ან ისინი, ვისაც არ ჰქონდათ წვდომა მასობრივ საინფორმაციო წყაროებზე; აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა მათში შინაგანი პროტესტის გაღვივება, რაც საბჭოთა მოქალაქის ქცევის სტანდარტებიდან დევიაციაში გამოიხატა.

რამდენიმე ცნობილმა მეცნიერმა, ასევე, შეისწავლა იქონია თუ არა კომუნისტური რეჟიმის ქვეშ ცხოვრებამ პირადი პოლიტიკური მიდრეკილებების ფორმირებაზე ზეგავლენა. კვლევებმა აჩვენა, რომ

პოლიტიკურ კონტექსტში აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეთა ქმედებები რადიკალურად განსხვავდებოდა დასავლეთ გერმანიის მკვიდრთაგან. მათი იდეოლოგიური მიმართება კაპიტალისტურ ეკონომიკურ მოდელთან ძირითადად ნეგატიური იყო. მათ, ასევე, გააჩნდათ მკაფიოდ ფორმულირებული შეხედულებები ცენტრალური მთავრობის როლზე მოქალაქეებს შორის სიმდიდრის განაწილების, სოციალური პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელების საკითხებში (Alesina & Fuchs-Schündeln 2007).

საერთოდ, სოციალურ აქტორებს შორის ნდობის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკურ ქცევაში (Arrow & Robert 1972). აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთში გადასული მოქალაქეების უმრავლესობა დაბალი ნდობით ხასიათდებოდა თანამოქალაქეებთან მიმართებაში, რაც სოციო-ეკონომიკური რეინტეგრაციისათვის ნეგატიურ წინაპირობას წარმოადგენდა. სოციოლოგიურმა კვლევებმა, ასევე, აჩვენა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საეკლესიო მსახურებაზე დასწრების დაბალმა მაჩვენებელმა უარყოფითად იმოქმედა მყარი საზოგადოებრივი კავშირების განვითარებაზე. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ნათელს ხდის, თუ რატომ უჭირდათ აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეებს ნდობაზე დაფუძნებული მყარი ურთიერთობების დამყარება (Rainer & Siedler 2009).

აღნიშნული ფაქტორებზე დაყრდნობით, ადვილად აიხსნება ის გარემოებაც, რომ რისკების შესამცირებლად აღმოსავლეთ გერმანელები ძირითადად ინვესტიციას აბანდებდნენ ახლო მეგობრების წრეში. აღსანიშნავია, რომ ნდობის დაბალი დონის გარდა, აღმოსავლეთ გერმანელები თავდაჯერებულობის ნაკლებობასაც ავლენდნენ (Boenisch & Schneider, 2013). ხაზგასასმელია, რომ გაერთიანების შემდგომ ეტაპებზე ყოფილი GDR-ის მოქალაქეებში სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თანამოქალაქეების მიმართ ნდობა თანდათანობით გაიზარდა (Heineck & Süssmuth 2013).

შესაძლებელია, ზემოთ აღნიშნული ქცევები და მათ განმაპირობებელი ფაქტორები ავხსნათ იდეოლოგიური გავლენისგან დამოუკიდებლად არსებული ისტორიული, სოციალური ან რელიგიური წინაპირობის საფუძველზე; მაგრამ, ზოგიერთი ავტორი კიდევ უფრო საინტერესო დეტალებს აღწერს აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრთა ქცევების ანალიზისას გაერთიანების შემდგომ. გაერთიანების შემდგომ ყოფილი GDR-ის მოქალაქეთა სამომხმარებლო ქცევის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ისინი უპირატესად ისეთ სამომხმარებლო პროდუქტებს მოიხმარდნენ, რომელთა საშუალებითაც მაღალი სოციალური სტატუსის გამოხატვა იყო შესაძლებელი (Friehe & Mechtel 2014). გარდა ამისა, გაერთიანების შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ გერმანიის მკვიდრთათვის მოხმარების საგნებისა და სურსათის უფრო ფართო არჩევანი გახდა ხელმისაწვდომი, მათ უპირატესობა დასავლურ ძვირადღირებულ პროდუქტებს მიანიჭეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოფილი GDR-ის მკვიდრმა მოსახლეობამ დასავლელ თანამემამულეებთან შედარებით წონაშიც მეტად მოიმატეს (Dragone &Ziebarth 2017).

აღმოსავლეთ გერმანელებს, ასევე, ახასიათებთ გადასახადების გადახდის მაღალი მზაობა, რაც განპირობებული იყო სოციალიზმის ფუნდამენტური პრინციპების გავლენით. ამ პრინციპებზე დაყრდნობით მათ სჯეროდათ, რომ მოქალაქეთა შორის სიმდიდრის თანაბარი განაწილების პროცესი, რომელშიც ცენტრალური ადგილი მთავრობას ეკავა, აუცილებლობას წარმოადგენდა (Alesina & Fuchs-Schündeln 2007). გარდა ამისა, ისინი დასავლელ თანამემამულეებთან შედარებით უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ უმუშევრობასთან მიმართებით, რაც სსრკ-ს იდეოლოგიური გავლენის აშკარა გამოვლინებაა. საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარატივის მიხედვით სსრკ-ს ქვეყნებში პრაქტიკულად არ არსებობდა უმუშევრობა.

სოციალური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა

1961 წელს, სახელმწიფო ბრძანების შესაბამისად, დამყარდა ახალი სოციალური წესრიგი. ოჯახები გაიყო და ნათესავებს მხოლოდ წერილების საშუალებითა და უსაფრთხოების სამსახურების აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ შეეძლოთ კომუნიკაცია. ყოველივე ამან გააღრმავა განცალკევების გრძნობა და ოჯახური ურთიერთობები აბსტრაქტულ და დამღლელ რუტინად გადაიქცა.

ორ გერმანიას შორის საზღვრის სხვადასხვა მხარეს მდებარე ოჯახის წევრებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეეძლოთ ერთმანეთთან სტუმრობა. საზღვრის კვეთა დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და შეხვედრების ხანგრძლივობა წინასწარ მკაცრად განსაზღვრული. ნათესავებს შორის საჩუქრების გაცვლა გახდა დასავლეთის ეკონომიკური უპირატესობის გამოხატულება აღმოსავლეთთან შედარებით. დასავლელებმა "მდიდარი შორეული ნათესავების" როლი მოირგეს, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ გერ-

მანიის მკვიდრ მათ თანამემამულეებს უწევდათ არასრულფასოვნებისა და სხვაზე დამოკიდებულების გრძნობებთან შეგუება.

GDR-ის მოქალაქეებისთვის, FRG-ში ნათესავის ყოლა ნიშნავდა მსოფლიოსთან კონტაქტის შესაძლებლობას. საჩუქრად მიღებული დასავლეთ გერმანული მარკებს აღმოსავლელები უცხოელი ვიზიტორებისათვის განკუთვნილ ეგრედ წოდებულ ,,ინტერშოპებში" ანაღდებდნენ და სანაცვლოდ VIP ტიპის საქონელს ყიდულობდნენ, რაც GDR-ის მოქალაქეებისათვის იშვიათ ფუფუნებას წარმოადგენდა. პანაშვიდებიც კი დღესასწაულად იქცა, რადგან ეს იმ იშვიათ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელზე დასწრებისათვის სპეცსამსახურები ნებართვას შედარებით მარტივად გასცემდნენ.

ურთიერთობების ამგვარმა დინამიკამ განაპირობა ისეთი სოციალური კლიმატის შექმნა, რომელშიც GDR-ის მოქალაქეები პოზიციონირებდნენ, როგორც მუდმივად სხვისი ხელის შემყურე ჯგუფი, ხოლო FRG-ს მცხოვრებლებს გაუჩნდათ შეგრძნება, რომ აღმოსავლელი თანამემამულეები და ოჯახის წევრები მათ იყენებდნენ სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით (პროდუქტი, ფული, შესაძლებლობა, ინფორმაცია და ა.შ.),

1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენები საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნული სოციო-ეკონომიკური სურათის რადიკალურ ცვლილებას. ცვლილების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა ის გარემოება, რომ თუ გაერთიანებამდე ურთიერთობებს ძირითადად გარე გავლენები წარმართავდა, გაერთიანების შემდგომ ეს შესაძლებლობა თავად გერმანელი მოქალაქეების ხელში გადავიდა. აგრეთვე, ურთიერთობების მატერიალური საფუძვლები თანდათან გაქრა და ნდობაზე დაფუძნებული სოციალური კავშირების წარმართვა ინდივიდების პასუხისმგებლობად იქცა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ამ ტიპის პოლიტიკური მოვლენები ხასიათდება დაკვირვების საგნის ორსახოვნებით, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადო სოციალური ნორმები ინდივიდუალურ დონეზე ჰპოვებს ხელშესახებ გამოხატულებას. სხვა სიტყვებით, კლინიკური ფსიქოლოგია მიანიშნებს, რომ ინდივიდუალური დარღვევები ფართო სოციალური გავლენების სიმპტომატური მანიფესტაციაა (Thomas Krauss & Angelika Faas, 1994).

შესაბამისად, მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, თავდაჯერებულობისა და ნდობის ნაკლებობა გერმანიის მოქალაქეებზე თავსმოხვეული იდეოლოგიური ომისა და ფსიქოლოგიური ზეგავლენის გამოძახილი იყო.

მას მედია, როგორც პროპაგანდის გამავრცელებელი ეფექტური საშუალება, დიდ როლს თამაშობდა იდეოლოგიურ ბრძოლაში. დასავლური მედიის მთავარ ამოცანას სოციალისტური რეჟიმის ანტაგონიზაცია და დასავლეთის იდეალიზაცია წარმოადგენდა. აღნიშნული ნარატივების წარმატებული გავრცელება ხელს უწყობდა დაყოფილი გერმანიის მოსახლეობის გაუცხოებას და შესაბამისად, აიოლებდა მათ კონტროლს. აღსანიშნავია, რომ რაიმეს იდეალიზირებას გაუცნობიერებლად მის თაყვანისცემამდე მივყავართ, ხოლო ყველაფერი, რაც მასთან დაპირისპირებულია მტრის სახე-ხატად აღიქმება. აღნიშნულ პოლიტიკურ კონტექსტში იმისათვის, რათა იდეალმა თავისი ფუნქცია შეინარჩუნოს საჭიროა სუბიექტის მისგან დისტანცირება; რადგან მას შემდეგ, რაც იგი ხდება ჩვენი არსების ნაწილი იდეალი წყვეტს არსებობას.

ამ შემთხვევაში, მტრის ხატის შექმნა და მისი ანტაგონიზაცია მოიაზრება საკუთარი იდენტობის შენარჩუნების ერთადერთ გზად. შესაბამისად, GDR-ის მოქალაქეებს მათ დასავლელ თანამემამულეებზე ჩამოუყალიბდათ შეხედულება, რომ ისინი ემსახურებოდნენ ძირფესვიანად გახრწნილ, ეგოისტურ და მოგებაზე ორიენტირებულ სისტემას. მეორეს მხრივ, FRG–ს მოქალაქეებმა აღმოსავლეთ გერმანია გააიგივეს უტოპიურ და მოძველებული იდეებთან. მათ აღქმაში, GDR-ის მოქალაქეები მოკლებულნი იყვნენ ინდივიდუალიზმს და მათი ცხოვრების ყველა ასპექტს ცენტრალური ხელისუფლება წარმართავდა.

იმისათვის, რომ ანტაგონისტმა ვერ შეძლოს "მე"-ზე ზემოქმედება, ქვეცნობიერი ითხოვს მის სისტემატიურ დაკნინებასა და დასჯას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მტრის სახე-ხატი უნდა იმყოფებოდეს მუდმივი ზეწოლის ქვეშ. ეს პრინციპი, ასევე, კარგად ერგება ცივი ომის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობების დინამიკას. მხარეებს იმდენად აშინებდათ მოწინააღმდეგის მიერ სამხედრო შეიარაღების სფეროში მიღწეული პროგრესი, რომ ეს შიში გლობალურ პარანოიად იქცა, რამაც განაპირობა არსებული რესურსების მაქსიმალური მობილიზება აღნიშნული მიმართულებით. ცივი ომის საწყის ეტაპზე ბეჭდური მედია, ხოლო შემდგომ ტელევიზია მთავარ როლს ასრულებდა მტრის ხატის შექმნასა და ანტაგონისტური ნარატივების გავრცელებაში. მისი კლინიკური პრაქტიკის საფუძველზე, ფსიქოთერაპევტი

ჰანს-იოაკიმ მააზი (Halle, 1990) ამტკიცებს, რომ სტალინისტურმა სისტემამ მავნე ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონია GDR-ის მოქალაქეებზე. 5 000-ზე მეტი შემთხვევის ანალიზის შემდეგ, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ თავისუფლების შეზღუდვა და გარკვეული სამომხმარებლო პროდუქტებისა და სერვისების დეფიციტი აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეებში უკმაყოფილების ძლიერ გრძნობას ბადებდა, რომელსაც ზოგჯერ ხასიათის დეფორმაციებიც კი ახლდა თან. GDR-ის მოსახლეობა შეეჩვია მუდმივ თვალთვალსა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ცხოვრებას, რაც მათ კომფორმისტულ ქცევასა და დამოუკიდებლად აზროვნების დეფიციტში გამოიხატებოდა. მააზი ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქეები ბავშვობის ასაკიდანვე მოკლებულნი იყვნენ თანატოლებისა და მშობლებისაგან ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და უპირობო სიყვარულის შეგრძნებებს. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ამგვარ გარემოში ინდივიდებს დამყოლი და კომპულსური ხასიათი უყალიბდებოდათ (Krauss & Faas, 1994).

გერმანიის გაერთიანების შემდგომი ევროინტეგრაციის პოლიტიკა

1990-იანი წლების მოვლენებმა გლობალური გეოპოლიტიკური წესრიგი თავდაყირა დააყენა. სსრკ-ს დაშლის შედეგად, ევროკავშირი რიგითი რეგიონალური ინსტიტუციის ნაცვლად სრულიად ევროპულ გლობალურ ძალად ჩამოყალიბდა. ევროკავშირმა ინსტიტუციონალური განვითარების ორიენტირი რეგიონალური და გეოპოლიტიკური გაფართოების ხედვით ჩაანაცვლა. ამავდროულად, გაერთიანების შემდგომ, გერმანიას არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დარჩა გადასაჭრელი: საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფი ყოფილი GDR-ის დაახლოებით 16 მილიონი ახალი მოქალაქის მოვლა, აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის ბედი, ეკონომიკური რეკონსტრუქცია, ქვეყნის შიგნით საზოგადოების რესოციალიზაცია, რეგიონალური და საერთაშორისო რეინტეგრაცია.

იმის მიუხედავად, რომ გაერთიანებულ გერმანიას შეეძლო აერჩია აგრესიული და ეგოისტური პოლიტიკა საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე იგი ევროინტეგრაციის გზას დაადგა. ამან განაპირობა ის, რომ გერმანია ევროკავშირის გაფართოების ერთ-ერთ აქტიურ ლობისტად იქცა. გერმანელი პოლიტიკური ლიდერები საკუთარ გამოსვლებში ხშირად საუბრობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ ოჯახში რეინტრეგრაციის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომს დამანგრეველი გავლენა ჰქონდა გერმანიაზე, ის მაინც ინარჩუნებდა ევროპაში ანგარიშგასაწევ ეკონომიკურ პოტენციალსა და გეოპოლიტიკურ სტატუსს. ლოგიკურია დავსვათ კითხვა, რატომ აირჩია აღნიშნული პოტენციალის მქონე გერმანიამ ევროინტეგრაცია? ნეორეალისტური და ნეოლიბერალური თეორიები ამ საკითხის გარშემო ზედაპირული და პრაგმატული არგუმენტებით შემოიფარგლებიან. ისინი გადამწვეტ მნიშვნელობას ცივი ომის პერიოდის ძალთა ბალანსს და ისტორიულ გარემოებებს ანიჭებენ. კონსტრუქტივიზმის თეორია კი აღნიშნულ საკითხს გერმანიის ეროვნული იდენტობის ჭრილში განიხილავს, იდენტობის ჩამოყალიბების ტურბულენტურ გზას აღწერს და შესაბამისად, უფრო ამომწურავ პასუხებს იძლევა წინა აბზაცში წამოჭრილ კითხვაზე (Banchoff 1999).

კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მისი ეროვნული იდენტობის ყველაზე თვალსაჩინო მანიფესტაციაა. ამასთან, დაკვირვების კონტექსტში აუცილებელია ვახსენოთ, რომ აღნიშნული საკითხის გარშემო არსებობს გარკვეული მოსაზრებათა გაორება, კონსტრუქტივისტ მეცნიერებს შორისაც კი. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეროვნული იდენტობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონცეფცია "ჩვენ" - მხოლოდ შინაგანად ყალიბდება (Anderson 1991) (Smith 1991). სხვები ამტკიცებენ, რომ ეს სახელმწიფოს ფუნდამენტურად გარეგანი ატრიბუტია (Katzenstein 1997b).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული თვითმყოფადობა არ არის სტატიკური ცნება, პირიქით, ის არის მუდმივად განვითარებადი ფენომენი, რომელიც ყალიბდება და იწრთობა ისტორიული გამოცდილებისა და საგარეო წნეხის ქვეშ. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი განსხვავებულად ვლინდება კონკრეტული საერთაშორისო კონტექსტიდან გამომდინარე.

სახელმწიფო იდენტობის ფორმირების შეფასებისას, ბანჰოფი გთავაზობთ საწყის ეტაპზე გასათვალისწინებელი ანალიტიკური ამოცანების ჩარჩოს. ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესის ეფექტურად გამოსაკვლევად საჭიროა გავითვალისწინოთ ანალიზის ოთხი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი სფერო (Banchoff 1999): პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს საკვლევი ობიექტი. ობზერვაციის აღნიშნული ეტაპი კვლევას უფრო ეფექტურს გახდის და დაგვიცავს სახელმწიფოთა შორის მრავალწლიანი ურთიერთქმედების შედეგად დაგროვებულ ემპირიულ მონაცემთა ზღვაში დაკარგვისგან. (Barnett 1993).

მეორე ეტაპზე, აუცილებელია ფოკუსირება შერჩეული სფეროსათვის რელევანტური მონაცემების მოპოვებაზე. მაგალითად: თუკი ობზერვაცია კონცენტრირებულია პოლიტიკურ სფეროზე, მაშინ მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა მოსაზრებები, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელების გამოსვლები, საჯარო პოლიტიკური დებატები. ეს ინდივიდუალური ასპექტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთო არქეტიპის ჩამოყალიბებაში, ამიტომ უნდა შენარჩუნდეს კავშირი მონაცემებსა და დაკვირვების საგანს შორის.

მესამე, უნდა მოხდეს სახელმწიფოს ქცევასა და მის ეროვნულ იდენტობას შორის შესაბამისობის საფუძვლიანი შეფასება (Bennett & Alexander 2005). როგორც იზოლირებული ფენომენი, უმნიშვნელოა ძალაუფლების საერთაშორისო კონსტალაციაში სახელმწიფოს პოზიციის განსაზღვრისა და შეფასების კუთხით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ დეკლარირებული ეროვნული იდენტობა კონგრუენტული ქმედების გარეშე უბრალო განცხადებად რჩება. სახელმწიფო ლიდერების გამოსვლებში გამოთქმული ნარატივები არ არის მხოლოდ აღწერითი ხასიათის დებულებები, არამედ ისინი ქმნიან მნიშვნელოვან საფუძველს კონკრეტული საერთაშორისო დისკურსის შექმნის ან განმტკიცებისათვის. მაგალითად, ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ნატოს როლის დადებითად შეფასება მშვიდობის შენარჩუნებაში შეიძლება აღვიქვათ, როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის არჩეული კურსის შენარჩუნებისა და გაღრმავებისკენ მიმართული პოზიტიური გზავნილი. ამის საპირისპიროდ, ნარატივი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ნატოს ჩართულობას ევროპის კონტინენტზე ამერიკული დომინირების განმტკიცების ობიექტივიდან აღწერს საპირისპირო მიზანს ემსახურება.

დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ იდენტობასა და საერთაშორისო პოზიციას შორის ურთიერთკავშირის შეფასება შეიძლება დამაკმაყოფილებლად მოგვეჩვენოს, იგი არაა ამომწურავი. ამიტომ, საჭიროა შეუსაბამობის ტესტის ჩატარებაც, რათა გამოვლინდეს და შემცირდეს ნებისმიერი დარღვევა ან დევიაცია სახელმწიფოს ოფიციალურად დეკლარირებულ კურსსა და მის რეალურ ქცევას შორის.

გაერთიანების შემდეგ გერმანიას უამრავი გამოწვევა გაუჩნდა, რომელთაგან ყველაზე აშკარა იყო გლობალური ჰეგემონების (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი) გავლენებს შორის ბალანსი, ასევე, ნატოსა და ევროკავშირის მიმართ მეტად ეფექტური პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია. მრავალი ვარიანტიდან გერმანიამ არჩევანი თანამშრომლობაზე დაფუძნებული საერთაშორისო იდენტობის შექმნაზე შეაჩერა (Berger 1996). გერმანიაში ცივი ომის შემდეგ აღმოცენებულ გავლენიან ნარატივებზე დაკვირვება შესაძლებელია მაასტრიხტის ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული ბუნდესტაგის დებატების ანალიზით. ჰელმუნდ კოლის პოზიცია განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების გზაზე გადასასვლელად. ერთ-ერთ გამოსვლაში მან შეაჯამა გერმანიის საგარეო კურსი და ხაზი გაუსვა, რომ: "გერმანიის იდენტობისა და ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა აუცილებელი იყო იმის ხაზგასასმელად, რომ გერმანელები ერთგულები რჩებოდნენ იმ პრინციპის, რომ გერმანიის და ევროპის ერთიანობა ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა" (Banchoff 1999).

ევროკავშირის გერმანიის პრეზიდენტობის წინა პერიოდში 1991 და 1994 წლებში გამართული ოთხი ძირითადი დებატის დროს კოლი აქტიურად ამტკიცებდა, რომ მშვიდობის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ევროპას უფრო მეტად ესაჭიროებოდა ერთიანობა, ვიდრე ოდესმე. მან ასევე აღნიშნა, კონსოლიდირებული ევროპული ოჯახის წევრობა გერმანიისათვის ერთ-ერთ საგარეო პრიორიტეტს წარმოადგენდა (Bundestag debates 1992). აღნიშნული ოთხი დებატი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გერმანულ საზოგადოებაში არსებულ აშკარა კონსენსუსს მისი ევროპული იდენტობის მიმართ.

კოლი საკმაოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი ალტერნატიული სცენარის მიმართ, რადგან იგი თვლიდა, რომ ევროპული ერთიანობის რღვევა ხელს შეუწყობდა ეგოისტური, უნდობლობით განწყობილი რეგიონული და გლობალური კონსტალაციის დამყარებას. კოლი თვლიდა, რომ ფრანკო-გერმანული პარტნიორობა უალტერნატივო ვარიანტი იყო, რომელიც მხარეებს წაახალისებდათ ერთად გაზრდილიყვნენ არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც. იგი, ასევე, ენთუზიაზმით ამტკიცებდა, რომ მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირებისა და სისხლისღვრის შემდეგ ევროპული ინტეგრაცია ერთადერთი გზაა კონტინენტის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.

ყურადღების ღირსია, რომ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (შემდგომში CDU) / ბავარიის ქრისტიან-სოციალური კავშირის (შემდგომში CSU) - თავისუფალი დემოკრატიული პარტიის (შემდგომში FDP) კოალიციის და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (შემდგომში SPD) პოლიტიკუ-

რი ელიტა აღიქვამდა გერმანიას, როგორც სუვერენულ აქტორს საერთაშორისო სისტემაში. მათ პირიქით სჯეროდათ, რომ FRG უბრალოდ გლობალური თავსატეხის ნაწილი იყო, რომელიც შედგებოდა კარგად განსაზღვრული ქცევის კოდექსისა და საზიარო სუვერენიტეტისგან. საგარეო საქმეთა მინისტრმა FDP-დან, ჰანს დიტრიხ გენშერმა ხაზი გაუსვა საერთო სუვერენიტეტის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროებში.

გიუნტერ ვერჰოიგენმა, რომელიც SPD–ის საგარეო პოლიტიკის სპიკერი იყო, ხაზი გაუსვა გარკვეული მსხვერპლის მნიშვნელობას. მან გერმანელ აუდიტორიასთან მიმართვისას აღნიშნა - აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ გერმანია ვერ "მოიგებს" ყველა სიტუაციაში და ეს მისაღებია ევროპული ერთიანობის სულისკვეთებიდან გამომდინარე.

გერმანიის უახლოესი მეზობლის ჩართვა მნიშვნელოვანი იყო რეგიონში გერმანიის სამომავლო განვითარების წარმართვაში. ჟან მონე იყო ერთ–ერთი პირველი ფრანგი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც აქტიურად ლობირებდა საფრანგეთის მონაწილეობას FRG–ის განვითარების დაგეგმვაში. მას სჯეროდა, რომ აშშ-სა და დასავლეთ გერმანიას შორის პირდაპირი შეთანხმება დააზიანებდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს. მონეს ღრმად სწამდა, რომ საფრანგეთს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ევროპულ ოჯახში გერმანიის რეინტეგრაციის პროცესში. ამ მხრივ შეიმუშავეს შუმანის გეგმის სახელით ცნობილი პირველი გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა 1950 წლის მაისისთვის ცნობილი ევროპული ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების შექმნას (შემდგომში ECSC). ECSC წარმოადგენდა პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც ყოფილ დაპირისპირებულ მხარეებს (ბენილუქსი, გერმანია, საფრანგეთსა და იტალიას) ახლა შეეძლოთ ურთიერობებისა და საერთო ღირებულებების ჩამოყალიბება. კანცლერი ადენაუერი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი იზიარებდნენ პოზიციას, რომ ECSC გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობა ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების კუთხით. ისინი თვლიდნენ, რომ ორგანიზაციის პოლიტიკური მნიშვნელობა გაცილებით მაღალი იყო და უზრუნველყოფდა ზრდისა და განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას მასში შემავალი ქვეყნებისათვის. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე სკეპტიკურად იყო განწყობილი და შუმანის გეგმას მასიურ თაღლითობად თვლიდა, SPD–ის წარმომადგენელმა კარლო შმიდტმა ECSC–ის იდეა შეადარა ვერსალის ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანიის დამცირებასა და გარე კონტროლის თავს მოხვევას (Banchoff 1999a).

გერმანული ინტეგრაცია ძირითადი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ობიექტივიდან

სსრკ-ს დაშლამ და რეგიონიდან აშშ-ს თანდათანობით გასვლამ FRG ცენტრალურ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ძალად აქცია. ვარშავის პაქტის დაშლა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებები, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის შექმნა (შემდგომში CSCE) და ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავება ახალ გამოწვევებს უქმნიდა გერმანიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამ რეგიონალური და გლობალური სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად, გერმანიის ერთგულება დეკლარირებული ევროინტეგრაციის მიზნებისადმი უცვლელი რჩებოდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების მსგავსად, FRG–მ მიიღო აქტიური ზომები, რათა მკაფიოდ გამოეხატა დანარჩენი ევროპული ქვეყნებთან ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების სურვილი. ცივი ომის შემდგომმა მოვლენებმა გერმანია უდავოდ გააძლიერა როგორც აბსოლუტური, ასევე შედარებითი თვალსაზრისით.

ლიბერალური მიდგომა ხაზს უსვამს იმას, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბევრი რამ არ შეცვლილა. აღმოსავლეთ გერმანიის PDS-ს არ შეეძლო გაეწონასწორებინა უფრო ძლიერი დასავლეთ გერმანიის პარტიების გავლენა CDU, SPD და კონკურენცია გაეწია თავისუფალი დემოკრატებისთვის. ამრიგად, ლიბერალური სკოლა შემოიფარგლება ზედაპირული არგუმენტებით. ლიბერალური მიდგომა სრულად ვერ ხსნის გერმანიის ლიდერების ღრმა სურვილს, გაეგრძელებინათ ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკა, მიუხედავად გერმანელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში გავრცელებული სკეპტიკური დამოკიდებულებისა.

მეორე მხრივ, ისტორიული გამოცდილების საფუძველზე და რეალისტურ დოქტრინაზე დაყრდნობით გერმანია უნდა მოეცვა შურისძიების გრძნობას. ბიპოლარულ კონსტალაციაში მსოფლიოს მასშტაბით განვითარებულ ქაოტურ მოვლენებზე დაყრდნობით, კლასიკური რეალისტური სკოლა ივარაუდებ-

და გერმანიის ნაციონალისტურ და რეგიონალური ჰეგემონიის პოლიტიკისკენ გადახრას. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებდა ისიც, რომ სამხედრო წარმოების თვალსაზრისით შეუდარებელი შესაძლებლობის გათვალისწინებით, გერმანიას დიდი შანსი ჰქონდა წარმატებულად ეწარმოებინა ნაციონალიზმზე ორიენტირებული პოლიტიკა. თუმცა, ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ევროპულ ოჯახში გერმანიის რეინტეგრაციის შემთხვევა უპრეცენდენტო იყო, რადგან არ მოიძებნება რეგიონალური ინტეგრაციის სხვა შემთხვევა, როდესაც დამარცხებული სახელმწიფო ამჯობინებს კომპრომისების გზით ყოფილ მტრებთან რეინტეგრაციას და მსხვერპლად სწირავს საკუთარ სუვერენიტეტსაც.

ლიბერალური მიდგომა კონცენტრირებული იყო 1990 წლის შემდგომ ევროპაში აღმოცენებულ გაურკვევლობაზე, რომლის პირველი ეტაპი იყო არასტაბილურ ინსტიტუციურ და პოლიტიკურ კლიმატში ძალთა ახალი ბალანსისკენ გადანაცვლება. ვარშავის პაქტის დაშლა, ნატოს განმტკიცება და საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტება აღმოსავლეთ ევროპაში, მათი ვარაუდით, უკარნახებდა გერმანიას ესარგებლა ძალთა გადანაცვლების თანამდევი გაურკვევლობით და დაეკავებინა დომინანტი პოზიცია. პირიქით, გერმანიამ მიიღო უფრო აქტიური ზომები უფრო ძლიერი და მშვიდობიანი ევროპის აღსადგენად. FRG-მ მხარი დაუჭირა ერთიან ევროპულ აქტს 1980 წელს - "ბერლინის კედლის" დანგრევამდე, რაც დეკლარირებული ღრმა და აქტიური ევროინტეგრაციისკენ სურვილის კონგრუენტული ქმედება იყო. გარდა ამისა, 1988 წელს კოლის მთავრობამ გამოხატა პოზიცია, რომ ევროპის მონეტარული კავშირის წევრობა გერმანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, რაც მათ უპირობო ენთუზიაზმს უსვამდა ხაზს (Anderson & Goodman 1993). FRG-ს ფინანსთა მინისტრი თეო ვაიგელი წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრებისა, რომ გერმანია ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპისკენ გაფართოების გეგმის ფინანსური კონტრიბუტორი უნდა ყოფილიყო. სკეპტიციზმის გამო კოლი ვალდებული გახდა შეეცვალა მისი ენთუზიაზმით აღსავსე რიტორიკა "ევროპის შეერთებული შტატების" შესახებ (Anderson 1997). მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 90–იანი წლების შუა პერიოდში FRG იყო ნატოს გაფართოების იდეისა და ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი.

მაასტრიხტის მიზნების განსახორციელებლად გერმანიის სტრატეგიაში ცენტრალური ადგილი "თვითკონტროლის" კონსოლიდირებული ცნებას ეჭირა (Hellmann 1997). კონცეფცია გულისხმობდა, რომ საერთაშორისო ნდობის დასაბრუნებლად როგორც უშუალო მეზობლების, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისათვის გერმანიას უნდა დაემტკიცებინა, რომ შეეძლო მისი მიზნების, ამბიციებისა და ძალის კონტროლი. ზოგი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ 1990 წელს გერმანიის ლიდერებმა ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირს (შემდგომში EMU) მხარი დაუჭირეს, რადგან გამოეხატათ ევროპული ოჯახის პრინციპებისადმი მათი ერთგულება (Grieco 1995). ამასთან, საგულისხმოა, რომ ეს ზეეროვნული ევროპული ნარატივი ერთბაშად არ აღმოცენებულა (Banchoff 1999a).

კონსტრუქტივისტული განსჯის თანახმად, გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიზნები სინქრონიზებული იყო მის შიდა მატერიალურ ინტერესებთან. კონსტრუქტივისტული ანალიზის თანახმად, FRG–ს პოლიტიკური სპექტრი შეთანხმდა მის ევროპულ იდენტობაზე, რადგან ეს თანხვედრაში მოდიოდა უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის მიზნებთან. შესაბამისად, პოლიტიკურმა ლიდერებმა შეძლეს საზოგადოების დარწმუნება, რომ გაერთიანების შემდეგ FRG-თვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყო გამხდარიყო ევროპული ოჯახის ერთ-ერთი აქტიური წევრი. მეორეს მხრივ, მათ სჯეროდათ, რომ უფრო სწორხაზოვანი პოლიტიკის წარმოება საფრთხეს შეუქმნიდა გერმანიის მომავალ განვითარებას და იმავე შეცდომებს გამოიწვევდა, რაც გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაუშვა. არსებობდა გამართლებული შიში, რომ საბოლოოდ ყოველივე ეს ნაციონალისტური მიდრეკილებების ზრდას და საერთაშორისო სისტემისგან სრულ იზოლირებას გამოიწვევდა. როგორც SPD სპიკერმა ჰაიდემარიე ზეულმა აღნიშნა: ‘ევროპამ უთხრა „დიახ“ გერმანიის ერთობას; ჩვენ ვეუბნებით „დიახ“ ევროპულ ერთიანობას ” (Banchoff 1999).

გაერთიანების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლებში, გერმანიის ქმედებები შესამჩნევად თავსებადი იყო მისი პოლიტიკური ლიდერების მიერ დეკლარირებულ ზეეროვნულ ევროპულ იდენტობასთან. კოლის მთავრობა მხარს უჭერდა ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასა (შემდგომში CFSP) და EMU-ს ჩარჩოებში თანამშრომლობის გაღრმავებას და აძლიერებდა 1990-1991 წლებში მაასტრიხტის მოლაპარაკებების დროს შემუშავებული ინსტიტუციონალური მოწყობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. მომდევნო წლებში, მიუხედავად სხვა წევრ ქვეყნებში წამოჭრილი რატიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული სირთულეებისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის მოულოდნელად

ნელი ტემპებისა, FRG შეუდგა გაძლიერებული ინტეგრაციის მხარდაჭერას. 1996-1997 წლებში ევროკავშირის მთავრობათაშორისი სამიტის დროს გერმანიის წარმომადგენლებმა, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა - გერჰარდ შროდერი, რომელიც წარმოადგენდა SPD-ს და ედმუნდ სტოიბერი ბავარიის CSU-დან - გამოხატეს მათი ურყევი ერთგულება ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებისკენ განსახილველი სფეროების უმეტეს ნაწილში.

სტოიბერისა და შროდერის მიერ შემდგომი ინტეგრაციის პროცესზე უარის თქმის ძირითადი არგუმენტები ევროკავშირის დღის წესრიგის სახელით ეროვნული სუვერენიტეტის მსხვერპლად შეწირვის შიშიდან გამომდინარეობდა. 1993 წლის ბუნდესტაგის დებატების დროს, სტოიბერმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა თვითდაჯერებული და მყარი "ეროვნული ინტერესების ფორმულირება". მაგრამ, ეს მოსაზრება სწრაფად გადაწონა ინტეგრაციის მომხრეთა შეხედულებებმა.

ამრიგად, მიმდინარე პოლიტიკური დებატების ანალიზით ვასკვნით, რომ გერმანიის მიერ განხორციელებული ქმედებები ემთხვევა ფართოდ კონსოლიდირებულ სუპრანაციონალურ ევროპულ იდენტობას. იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც ისინი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაკორექტირებელი მექანიზმის სახით მყისიერი საზოგადოებრივი და პოლიტიკური კრიტიკა გვევლინება. კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკა გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო ჰარმონიზებული მის მატერიალურ ინტერესებთან. საერთო ვალუტა და უფრო მჭიდრო პოლიტიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა გერმანიას. ამიტომ, ეს იყო ერთ–ერთი ყველაზე გავლენიანი წინაპირობა, რამაც FRG–ს პოლიტიკურ ლიდერებს საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობა მისცა, ისეთი რთული პროცესის ფონზეც კი, როგორიცაა გაერთიანება.

დასკვნა

თავდაპირველად, მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანებაზე გარკვეული ვნებათაღელვის საფუძველი აღმოჩნდა მისი ევროპელი მეზობლებისთვის, აშკარა მიზეზების გამო: მათ ეშინოდათ გერმანიის სახელმწიფოს აღდგენისა და მისი ეკონომიკის აღორძინების, რადგან სწამდათ, რომ გერმანელ მოსახლეობას შურისძიების სურვილი გაუჩნდებოდათ. მათთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო ორად გაყოფილი გერმანია სუსტი ეკონომიკითა და ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიური პოზიციებით. ფრანგულმა მხარემ შეშფოთებაც კი გამოთქვა გორბაჩოვის ე.წ. "გლასტნოსტი"-ს პოლიტიკასთან მიმართებით, რადგან, მათი აზრით, ეს სტრატეგია აღმოსავლეთ გერმანიას არასწორი მიმართულებით წაიყვანდა.

ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ღიად დააფიქსირა მისი მოსაზრება გერმანიის სწრაფი გაერთიანების წინააღმდეგ. ტეტჩერს სჯეროდა, რომ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე გაერთიანებული გერმანია რადიკალურად შეცვლიდა ევროპულ პოლიტიკურ და ძალთა ბალანსს.

გერმანიის საბედნიეროდ, კომუნისტური პარტიის წევრებში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად და ბევრი თანაპარტიელის ნების საწინააღმდეგოდ, გორბაჩოვმა ღიად გამოხატა გერმანიის გაერთიანების სურვილი. უფრო მეტიც, იმდროინდელმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ საჯაროდ წაახალისა აღმოსავლეთ გერმანელები და მოუწოდა გაერთიანებისკენ. აღნიშნულმა სტრატეგიამ რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მან აღნიშნა, რომ გორბაჩოვის მიდგომა გერმანიის საკითხისადმი სუსტი და მცდარი იყო, რამაც საბჭოთა კავშირს დააკარგინა უსაფრთხოების გარანტიები არა მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიაში, არამედ პოლონეთში, ისევე როგორც გეოპოლიტიკურად ფასდაუდებელ მთელ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

მიუხედავად ყველაფრისა, 1980 წლის მაისში დასავლეთის ქვეყნებმა ერთხმად გამოხატეს სურვილი, რომ ენახათ გაერთიანებული ძლიერი გერმანია, როგორც დემოკრატიული ევროპული ოჯახის განუყოფელი ნაწილი. 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევას მხოლოდ რეგიონალური მნიშვნელობა არ ჰქონდა; ეს იყო მოვლენათა ბევრად უფრო დიდი თანმიმდევრობის დასაწყისი, რომელმაც გავლენა იქონია გლობალური ძალთა ბალანსის განსაზღვრაში. ეს სიმბოლური აქტი არ იყო მხოლოდ გერმანიის გაერთიანების ნიშანი, იგი გულისხმობდა ე.წ. ,,რკინის ფარდის'' ჩამოხსნას, რომელიც აღიმართა მსოფლიოს ორ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკს შორის. ცივი ომის დასრულება ბერლინის კედლის დანგრევიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადდა და ერთი წლის შემდეგ გერმანია საბოლოოდ გაერთიანდა.

ბიბლიოგრაფია

Akerlof G., Rose A., Yellen J., Hessenius H., Dornbusch R. and Guitian M., 1991." East Germany in from the Cold: The Economic Aftermath of Currency Union", Brookings Papers on Economic Activity , Vol. 1991, No. 1 (1991), pp. 1-105

Alesina A., Fuchs-Schündeln N., 2007. «Goodbye Lenin (or Not?): The Effect of Communism on People›s Preferences,» American Economic Review, 97 (4): 1507-1528

Anderson B., 1991. "Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism" London: Verso

Anderson J.J. and Goodman J., 1993. "Mars or Minerva? A United Germany in a Post-Cold War Europe", in Robert O. Keohane , Joseph S. Nye and Stanley Hoffmann (eds) After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe, 1989-1991, pp. 23-62. Cambridge: Harvard University Press

Anderson J. J., 1997. "Hard Interests, Soft Power, and Germany's Changing Role in Europe", in Peter J. Katzenstein (ed.) Tamed Power: Germany in Europe, pp. 80-107. Ithaca: Cornell University Press

Arrow K. & Robert L., 1972. "Uncertainty and the Evaluation of Public Investment Decisions: Reply",American Economic Review, American Economic Association, vol. 62(1), pages 171-172

Banchoff T., 1999. "German Identity and European Integration", European Journal of International Relations 5(3):259-289

Banchoff T., 1999a "The German Problem Transformed: Institutions, Politics and Foreign Policy, 1945-1995", Ann Arbor: University of Michigan Press

Barnett M., 1993. "Institutions, Roles, and Disorder: The Case of the Arab States System", International Studies Quarterly 37: 271-296

Becker S., Mergele L. and Woessmann L., 2020. "The Separation and Reunification of Germany: Rethinking a Natural Experiment Interpretation of the Enduring Effects of Communism," The Warwick Economics Research Paper Series (TWERPS) 1255, University of Warwick, Department of Economics

Bennett A. and Alexander G, 2005. "Case Studies and Theory Development in the Social Sciences", Cambridge, MA: MIT Press

Berger T., 1996. "Norms, Identity, and National Security in Germany and Japan", in Peter J. Katzenstein (ed.) The Culture of National Security: Norms and Identity in World Politics, pp. 317-356. New York: Columbia University Press

Boenisch P. & Schneider L., 2013. "The social capital legacy of communism-results from the Berlin Wall experiment," European Journal of Political Economy, Elsevier, vol. 32(C), pages 391-411

Burda M., & Hunt J., 2001. "From Reunification to Economic Integration: Productivity and the Labor Market in Eastern Germany". Brookings Papers On Economic Activity, 1-92. doi: 10.1353/eca.2001.0016

Clark A. and Oswald A., May 1994. "Unhappiness and Unemployment." Economic Journal, 104(424), pp. 648–59

Crompton R., 1999. "Discussion and conclusions. InRestructuring Gender Relations and Employment: The Decline of the Male Breadwinner", ed. R Crompton, pp. 201–14. Oxford: Oxford Univ. Press

Debates of the German Bundestag, 1992, Shorthand report. Bonn. https://www.jstor.org/stable/24236418?seq=1#metadata_info_tab_contents

Dragone D. & Ziebarth N., 2017. "Non-separable time preferences, novelty consumption and body weight: Theory and evidence from the East German transition to capitalism," Journal of Health Economics, Elsevier, vol. 51(C), pages 41-65

Einhorn B., 1993. "Cinderella Goes to Market: Citizenship, Gender and Women's Movements in East Central Europe". London/New York: Verso, P35

Friehe T. & Mechtel M., 2014. "Conspicuous consumption and political regimes: Evidence from East and West Germany," European Economic Review, Elsevier, vol. 67(C), pages 62-81

Frijters P., Haisken-DeNew J., and Shields M., 2004. «Money Does Matter! Evidence from Increasing Real Income and Life Satisfaction in East Germany Following Reunification.» American Economic Review, 94 (3): 730-740

Fuchs-Schündeln N., & Schündeln M., 2009, August 28. "Who stays, who goes, who returns?" Retrieved January

31, 2021, from https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/j.1468-0351.2009.00373.x

Grieco J. M., 1995. "The Maastricht Treaty, Economic and Monetary Union and the Neo-Realist Research Programme", Review of International Studies 21: 21-40

Heineck G. & Süssmuth B., 2010. "A Different Look at Lenin's Legacy: Trust, Risk, Fairness and Cooperativeness in the two Germanies," CESifo Working Paper Series 3199, CESifo

Heineck G. & Süssmuth B. 2013. "A different look at Lenin's legacy: Social capital and risk taking in the Two Germanies", Journal of Comparative Economics, Elsevier, vol. 41(3), pages 789-803

Hellmann G., 1997. "The Sirens of Power and German Foreign Policy: Who is Listening?", German Politics 6(2): 29-57

Hunt J., 2002. "The transition in East Germany: When is a ten-point fall in the gender wage gap bad news?" J. Labor Econ. 20:148–69

Katzenstein P., 1997b. "United Germany in an Intergrating Europe",Tamed Power: Germany in Europe, pp. 1-48. Ithaca: Cornell University Press

Krauss, T., Faas, A., 1994. "The Wall: On the psychology of the reunification of Germany". Contemp Fam Ther 16, 199–213 . https://doi.org/10.1007/BF02196776

Krueger AB, Pischke J-S., 1995. "A comparative analysis of East and West German labor markets: before and after unification. In Differences and Changes in Wage Structures". ed. RB Freeman, LF Katz, pp. 405–45. Chicago/ London: Univ. Chicago Press

Kunzler J., Walter W., Reichart E, P fister G., 2001. "Gender division of labour in unified Germany". WORC Rep. 01.04.07. Tilburg: Tilburg Univ. Press

Lang M. & Wendler , 2017." German Unification as a Catalyst for Change: Linking Political Transformation at the Domestic and International Levels", German Politics, 26:4, 443-456

Laudenbach Ch., Malmendier U. and Niessen-Ruenzi A., March 2020, "The Long-Lasting Effects of Living Under Communism on Attitudes Towards Financial Markets". NBER Working Paper No. w26818, Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=3550966

Rainer H. & Siedler T., 2009. "The role of social networks in determining migration and labour market outcomes: Evidence from German reunification," Munich Reprints in Economics 19783, University of Munich, Department of Economics

Rosenfeld R., Trappe H., Gornick J., 2004. "Gender and Work in Germany: Before and After Reunification".Annual Review of Sociology 2004 30:1, 103-124

Shleifer A., Rafael L. and Lopez-de-Silanes F., 2006. "What Works in Securities Laws?" Journal of Finance 61 (1): 1-32

Siebert H., 1991. "The integration of Germany: Real economic adjustment," European Economic Review, Elsevier, vol. 35(2-3), pages 591-602, April

Smith A.D., 1991. "National Identity". London: Penguin

Trappe H. 1996. "Work and family in women's lives in the German Democratic Republic". Work Occup. 23:354–77